დამტკიცებულია 2011 წლის 10 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №53 სხდომის ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის (შემდგომში - საბაკალავრო პროგრამა) მიზანი

1.1. ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

1.2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს, მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა მის მიერ არჩეულ სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

1.3. უნივერსიტეტი განსაკუთრებით აფასებს სტუდენტის თავისუფალ არჩევანს და ხელს უწყობს მას, თავად შექმნას საკუთარი სასწავლო გეგმა: სტუდენტი, მისი ინტერესიდან და მის მიერ არჩეული სასწავლო მიმართულებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად თავისუფალია სალექციო კურსების არჩევასა და საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

2. საბაკალავრო საფეხურზე მიღება

2.1. საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და დააკმაყოფილა პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში).

და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატში.

2.2. უნივერსიტეტში სტუდენტების ჩარიცხვა ხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სიის მიხედვით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტის საფუძველზე.

3.საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცედურები

3. 1. საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი არიან დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში).

3.2. შემუშავებული საბაკალავრო პროგრამა მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე, რის შემდეგაც წარედგინება განსახილველად აკადემიურ საბჭოს, რომელიც პროგრამებს უგზავნის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3. 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერს დასკვნას წარმოდგენილი პროგრამის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში აწვდის ფაკულტეტს რეკომენდაციებს პროგრამაში შესატანი ცვლილებების შესახებ. აკადემიური საბჭო ამტკიცებს საბაკალავრო პროგრამებს, ან საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უბრუნებს ფაკულტეტს შემდგომი დამუშავებისათვის.

4. საბაკალავრო პროგრამა

4.1. საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერთან და არსებობის შემთხვევაში დარგობრივ მახასიათებელთან .

4.2. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ინფორმაციას ხანგრძლივობა/მოცულობის, მიზნის, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის, სწავლის შედეგების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, სწავლების მეთოდების, შეფასების წესის, დასაქმების სფეროების, სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობების შესახებ.

4. 3. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, კურსის წინაპირობები, სემესტრი, კურსის სტატუსი და ლექტორის ვინაობა. პროგრამას ერთვის სწავლის შედეგების რუკა.

4.4. საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა არანაკლებ 240 კრედიტი. ბაკალავრიატში თითოეული სემესტრის მანძილზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს საშუალოდ 30 კრედიტი.

4.5. საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტს სტუდენტი აგროვებს ძირითადად შემდეგი კომბინირებით: საბაზო მოდულის, ძირითადი (major) სპეციალობის და დამატებითი (minor) სპეციალობის სასწავლო კურსებით, ან საბაზო მოდულის, ძირითადი (major) სპეციალობის სასწავლო კურსებით და თავისუფალი კომპონენტებით. საბაზო მოდულის მოცულობაა 60 კრედიტი, ძირითადი (major) სპეციალობის - 120 კრედიტი, დამატებითი (minor) სპეციალობის/ თავისუფალი კომპონენტების - 60 კრედიტი.

4.6. სტუდენტი ძირითად (major) სპეციალობას ირჩევს მესამე სემესტრიდან. მესამე სემესტრიდან არის შესაძლებელი ასევე დამატებითი (minor) სპეციალობის დაფიქსირებაც. სტუდენტი დამატებით (minor) სპეციალობას ირჩევს ძირითადი (major) სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებიდან.

4.7. საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს არჩევითობა, ანუ პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო კურსებთან ერთად უნდა მოიცავდეს არჩევით და საჭიროების შემთხვევაში სავალდებულო-არჩევით კურსებსაც.

4.8. არჩევითობის უზრუნველსაყოფად ერთი და იგივე კურსი უნდა მეორდებოდეს ყოველ მეორე სემესტრში მაინც. რომელიმე კურსის გავლა კონკრეტულ სემესტრში არ უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული, თუ ეს აუცილებლობით არ არის ნაკარნახევი.

4.9. **საბაზო მოდული**

საბაზო მოდულის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მათემატიკას, კომპიუტერის საბაზო კურსს, დაეუფლებიან ინგლისურ ენას, აკადემიურ წერას, პრეზენტაციის, კომუნიკაციისა და დისკუსიის ტექნიკებს, საინფორმაციო წიგნიერებას. ამ კურსებზე გამოყენებული მეთოდების (ლექცია, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკუმი, პრეზენტაცია, საშინაო დავალება) მეშვეობით სტუდენტებს უვითარდებათ ქართულსა და ინგლისურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასებისა და შემოქმედებითად გადაჭრის, გუნდში ეფექტიანად მუშაობისა და რაოდენობრივი მსჯელობის უნარები. ყოველივე ეს დაეხმარება მათ მომდევნო სემესტრების განმავლობაში სწრაფად მოიძიონ და დაამუშაონ ინფორმაცია, ადვილად გააცნობიერონ და გაითავისონ ახალი მასალა და შთამბეჭდავად და დამაჯერებლად წარმოაჩინონ თავისი მოსაზრებები.

4.10. **ძირითადი (major) სპეციალობა**

ძირითადი (major) სპეციალობა სტუდენტს აძლევს სფეროს ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან სფეროსთვის დამახასიათებელ მეთოდებს პრობლემების გადასაჭრელად და შეუძლიათ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

4.11. **დამატებითი (minor) სპეციალობა**

დამატებითი (minor) სპეციალობა უფართოვებს სტუდენტს თვალსაწიერს, გამოუმუშავებს მას დისციპლინათშორის მიდგომებს და ზრდის მისი დასაქმების პერსპექტივებს.

4.12. **თავისუფალი კომპონენტები**

სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა დამატებითი სპეციალობის მაგივრად თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში შეისწავლოს მისთვის საინტერესო კურსები შემოთავაზებული საბაკალავრო კურსებიდან რაიმე გამაერთიანებელი სქემის გარეშე და შეიძინოს ცოდნა სწორედ იმ საკითხებისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც მის მიზნებსა და ინტერესებს შეესაბამება. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში კურსების შეთავაზებით ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიურ თავისუფლებასა და არჩევითობის პრინციპის დაცვას.

4.13. **ინდივიდუალური პროგრამა**

სტუდენტს აქვს ასევე შესაძლებლობა ისწავლოს ინდივიდუალური პროგრამით. მას აქვს უფლება, მიმართოს ფაკულტეტის(ების) საბჭოს, დაუსაბუთოს მის მიერ არჩეული სქემის მართებულობა და ადეკვატურობა. ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია, მიმართვიდან ერთი თვის ვადაში გამოიტანოს დასკვნა სტუდენტის თხოვნის შესახებ.

4.14. **კვლევაში ჩართვა**

საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტების კვლევით პროექტებში ან კვლევით საქმიანობაში და დააგროვონ გარკვეული რაოდენობის კრედიტები. ბაკალავრის კვლევით საქმიანობაში ჩართულობის საკრედიტო შეფასება ფაკულტეტის საბჭოს პრეროგატივაა. კვლევითი საქმიანობით მიღებული კრედიტების

რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სემესტრში 18 კრედიტს. კრედიტების რაოდენობის მინიჭება დამოკიდებულია სტუდენტის მიერ ამ საქმიანობაზე.

4.15. **რეგულირებადი პროგრამები**

რეგულირებადია იურიდიული, სამედიცინო, პედაგოგიური პროგრამები. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

5. ბაკალავრის ხარისხის მინიჭება

5.1. არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვებისა და ფაკულტეტის მიერ დადგენილი სხვა დამატებითი პირობების შესრულების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

5.2. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

5.3. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა შესაბამისი მიმართულების ან დარგის/სპეციალობის არსებობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში.

6. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი

6.1. საბაკალავრო პროგრამა შესაძლებელია დასრულდეს საბაკალავრო ნაშრომით/პროექტით.

6.2. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი იწერება/იქმნება ბაკალავრიატში სწავლის ბოლო სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში ბაკალავრმა უნდა წარმოაჩინოს როგორც სათანადო კომპეტენცია არჩეული სპეციალობის სფეროში, ასევე აკადემიური წერის შესაბამისი დონე.

6.3.საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემა დგინდება ხელმძღვანელთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე .

6.4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორი, ან მოწვეული ლექტორი.

6.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვა ხდება საჯაროდ ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესით შერჩეული კომისიის წინაშე ფაკულტეტის მიერ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების და პროცედურების მიხედვით.

6.6. დაცვის პროცედურა უნდა ემორჩილებოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს.

6.7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის მოცულობაა მინიმუმ 6 კრედიტი.

7. ერთობლივი საბაკალავრო პროგრამები

7.1.ერთობლივ პროგრამებად ითვლება:

ა) პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია ერთზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;
ბ) პროგრამები, რომლებიც საერთო ადამიანური რესურსით სარგებლობენ: თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორები ასწავლიან მონაწილე ინსტიტუციებში, ერთად შეიმუშავებენ სასწავლო გეგმას, ქმნიან გაერთიანებულ კომისიას სტუდენტების მიღებისას და შეფასებისას;
გ) პროგრამები, რომელთაც საერთო კვლევითი კომპონენტი აქვთ.

7.2. ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილი და წარმართული უნდა იყოს ამ სტანდარტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.